ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

№ 553 1918 წ. ოთხშაბათი. ოქტომბრის 9. № 353

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ტფილისის საბჭომ გამგეობის გადაყენება დაადასტურა.—მოსკოვიდან მოსული ცნობებით ბულგარეთის მეფე ფერდინანდი გადამდგარა; ტახტზე ასულა მისი შვილი ბორისი.—შამპანში ათი დღის ბრძოლის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა.

გულდათუთქული მშობლები ანა ივლიანეს ასული და მელქისედეკ (ბუხუტი) აპოლონის ძე მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი, ერთად-ერთი ნუგეში შვილი

ნ ი ნ ო

გარდაიცვალა ოქტომბრის 8-ს დილით. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, ლერმონტოვის ქუჩა № 19. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2020

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბაბინე იოსების ასული და შვილი კოწია მელუები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ამ თვის 7-ს რკინის გზის საავადმყოფოს ფერშალი

პეტრე მელუა,

რომელსაც გამოასვენებენ ბინიდან, გლდანის ქუჩა № 12 (დიდუბე) დილის ათ საათზე და დაასაფლავებენ კუკიის სასაფლაოზე. 2021

1918—19 წლის საზამთრო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

ოთხშაბათს, ოქტომბრის 9-ს, **„რიგოლეტო“** ოპერა 4 მოქმ. მუს. ვერდი.

მონაწილეობენ: ქ-ნი ზელინსკისა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, დობროვოლსკისა, გედევანოვისა; ბ-ნი ზალიპსკი, ორდა, ზუბარევი, ისეცკი, ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 10-ს „დუბროვსკი“, ოქტ. 11-ს „პიკოვაია დამა“. 1332

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

შაბათს, 1918 წ. ოქტომბრის 12-ს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

1.

საგანგებო მიცვალებული

კომედია 2 მოქმ.

2

ბრილიანტების ქურდი

ვოდ. 1 მოქმ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. **წარმოდგენა უფასოა.**

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მანდილოსნები და სტუდენტები—3 მ., მამაკაცები—5 მან.

განცხადება
სახალხო განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს ტფილისის ვაჟთა და ქალთა კერძო საშუალო სასწავლებელთა ქართველ მოწაფეების და მათი მშობლების საყურადღებოდ, რომ ასეთ მოწაფეებს ნება ეძლევათ უეგზამენოდ შევიდნენ მთავრობის ქართულ სასწავლებელთა სათანადო კლასებში. 1359

მე-II წელიწადი **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე-II წელიწადი

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

მხეიძის ქ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ხ. ნ. შულგინი.

1917—1918 სამოსწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

ქართული ლატარია

კითხვა-პასუხი

—ე მანდ, ეჭო, აბ ეგიგახე, ხალხი რო
იჭით გარბის,
და ლამაზიც მიგოგმანებს, ჰკირიმე მის შავ
თვალ-წარბის!..
ეს ვინ არის. ქართველია? სომეხი თუ თათარია?..
ბიჭოს ჯორით მოჩაქჩაქებს, მღვდელი
აბიათარია...
ჩვენი სინო—მეზურნეც კი, ეგ ხომ დიდი ნატარია...
— ვა, არ იცი ბილეთები და ქართული ლატარია?
— მერე რაო?
— ვა, ფული ღირს, მანეთია ოცდა ხუთი,..
— ეჰ, ვინ მამცა?
— მაშ რა არის, შინ გიწყვია ათი ფუთი.
— ეჰ, მასხარავ, ჰკუა იოხთურ? რად ხარ
მეთქი ეგრე ცეტი?
— ვა, ხომ გიყვარს, კარგად ვიცი, თრიატრი
და ვერსიტეტი!
ფულს რომ მისცემ, ბილეთს მოგცემს, შეეწევი საქმეს
რაღა!
იმ ბილეთით ფულს მოიგებ, გეფიცები ჩემს სულს,
ალა!
რომ მოიგებ, იმ მოგების მერე განა იცი ფასი?
თუმნობით რო ჩავკრათ ჩოთქსა, შენ გერგება
ათ-ათასი!
— ეჰ, რას ამბობ!.. მაშ გავრბივარ,
მიმაქვს ოთხი გვგეჭკორი
და თუ ყველა ვერ მოვიგე, დაგაბღავლებ
როგორც ღორი!

1311

ქალთა მე-6-ე გიმნაზიის

ქართულ კლასებში (საანბანოდან დაწყებული მე-4-ე კლასამდე) მოწაფეთა მიღება გაგრძელდება ოქტომბრის 15-მდე. გახსნილია აგრეთვე სომხური კლასებიც საანბანოდან დაწყებული 1 კლასამდე. 2104

განცხადება

ფოთის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1918 წ ოქტომბრის 20-ს დილის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ვაჭრობა, რომლითაც იჯარით გაიცემა ქალაქის ტყეში მდ. რიონის ნაპირზე 500 კუბ. საჟენი შეშის დამზადება და ფოთში ჩამოტანა. შეშა იქნება სხვა და სხვა ზომისა და სხვა და სხვა ჯიშის ხისა. ვაჭრობის პირობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე გამგეობის კანცელარიაში. 1361

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ. ისტ.).
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

ცნობად: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთ ერთი სავაჟო ან საქალებო საშვალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ველიკოკნიაჟ. 91). 1352

ტფილისი, ოქტომბრის 9.

ტფილისის საბჭო. ტფილისის ქალაქის საბჭოში ამ ბოლო ხანს მეტად ყურადსაღები ამბები ხდება. ყველასათვის აშკარაა, რომ ვერც ერთმა პარტიამ ვერ შესძლო გაენაღდებინა იმ დაპირებათა მესედიც კი, რომელიც არჩევნების დროს ჰქონდა მოხსენებული თავის პლატფორმაში. საერთო მდგომარეობის გართულებამ ყველას მიავიწყა ყოველ-დღიური საკითხები და ქალაქის მდგომარეობა, მისი ფინანსები, ქონება და სხვ. დღეს უფრო უპატრონოდაა, ვიდრე ძველი საბჭოს დროს. ის კი არა, ზოგიერთი ჯგუფები საბჭოს უყურებენ როგორც მთავრობის საოპოზიციო დაწესებულებას და საბჭოს სხდომები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, როცა სდგას საკითხი, ასე თუ ისე პოლიტიკურის იერისა. გარდა ამისა, ტფილისის საბჭო ჯერ-ჯერობით თითქმის ერთად-ერთი ადგილია, სადაც ხმაალლა, ხან პირდაპირ, ხან გადაკვრით—გაისმის საყვედურები და გმობა საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი მთავრობისა, რუსის ეს-ერების ჯგუფს საბჭო-ღა დარჩენია ტრიბუნად, სადაც ისინი გავლენის გაძლიერებას ჰლამობენ და საქმე სრულიად არ ეინტერესებათ. ერთი სიტყვით, ქალაქის საბჭო ეს ის ადგილია, სადაც ჩვენი მტრების ხმა აშკარად გაისმის. და რომ ეს ასეა, ამას შევეცდებით დავამტკიცოთ იმ ამბავის აღნიშვნით, ამ ბოლო ხანებში რომ მოხდა.

ქალაქის საბჭომ სექტემბრის 30-ს სხდომაზე იქონია მსჯელობა მთავრობის მიერ დაარსებულ და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საგანგებო რაზმზე მან აღიარა, რომ მთავრობის დადგენილება არის დარღვევა ყოველგვარ თავისუფლებისა და მოგვაგონებს „ოხრანკას“ დაარსებას, იმ ჟანდარმებთან ბრძოლაში გამოწრთვნილნი კადეტები!.. ამიტომ ქალაქის მილიციამ არავითარი დახმარება არ უნდა გაუწიოს საგანგებო რაზმს, რომელიც ეს-ერების „ტრუდოვოე ზნამიას“ ბინას და სტამბას ჰბეჭდავს და კადეტებს აპატიმრებსო. ეს იყო საქმიან ფრაზებში გახვეული დიდი პოლიტიკური საკითხი. რუსის ეს ერებს და სხვა დანარჩენთ, რასაკვირველია, სრულიად არ ეინტერესებოდათ ნამდვილი საქმე. მათ ჰსურდათ მხოლოდ ერთხელ კიდევ გაელანძღათ საქართველოს მთავრობა, სახელი გაეტეხნათ მისი მოქმედებისათვის და გულუბრყვილო მსმენლები დაეჯერებინათ, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობა სანდობი არ არის, მას უეჭველად სჭირიან თუმანოვების და ხუდადოვების ოპეკა, კანტროლი, თორემ გზას გადაუხვევს და დემოკრატიის ინტერესებს გაჰყიდისო. სრულიად ავიწყდებოდათ, თუ განგებ ივიწყებდნენ იმას, რომ საქართველოში არსებობს პარლამენტი, დემოკრატიული მთავრობა —რომელნიც შეგნებულ საქართველოს ნდობით არიან აღჭურვილნი. ერთი სიტყვით, ზემოხსენებულ გარეგნად წვრილმან ფაქტში გამოსჭვიოდა უნდობლობა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისადმი. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ფრაქცია იქ მხარს უჭერდა და იცავდა იმ აზრს, რომელიც ამტკიცებდა ქალაქის საბჭოს დადგენილების უკანონობას და არა შესაფერ ხასიათს.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ამ შემთხვევაში არ გამოსულა საგანგებო რაზმის დამცველად. ჩვენ ვიცით, რომ მას ბევრი ნაკლი აქვს. ისიც ვიცით, რომ უეჭველია, მასში მოიპოვებიან ბოროტმოქმედნი, რომელნიც ამ გარდამავალ და გახრწნილების ჟამს, როცა ყველგან ძარცვა-გლეჯა, ქურდობაა—ხელს ითბობენ და სარგებლობენ თავის მდგომარეობით. მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს თვით მთავრობამ და საქართველოს პარლამენტმა, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა მთავრობის ის კანტროლი, დღეს რომ ტფილისის საბჭო ჩემულობს. აი, სწორედ ამ თვალთსაზრისზე ვიდექით ჩვენ და ამიტომ ვილაშქრებდით ქალაქის საბჭოს წინანდელ გადაწყვეტილების წინააღმდეგ: ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცავდით საქართველოს რესპუბლიკას და მის პარლამენტს იმ შემთხვევითი ელემენტების იერიშებისაგან, რომელნიც ქალაქის საბჭოში მოკალათებულან და ჩვენი დაღუპვა აქვთ მიზნად.

რა ალაპარაკებთ რუსის ესერებს? მხოლოდ მტრობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და არა კეთილი სურვილით აღნიშვნა რომელისამე ნაკლისა. ისინი ყოველ ორგანიზაციებიდან გაირიყნენ. ისინი ჩამოსულ პარტიებს წარმოადგენენ და მათი ამომრჩეველნი დიდი ხანია რუსეთის სოფლებში ამკვიდრებენ „სოციალიზმს“. მაგრამ ეს ხალხი მაინც მაგრად ჩაჰბღაუჭებია თავის სკამებს და ყოველ შემთხვევით სარგებლობს საქართველოს (მათი აზრით) დამღუპველ და დამასამარებელ დამოუკიდებლობის დასამხობად. ისინი პრინციპიალურად რომ მაინც არ იყვნენ წინააღმდეგნი ჩვენი დამოუკიდებლობისა, სასტიკ პროვოკაციონულ ბრძოლას რომ არ აწარმოებდნენ—მაშინ შეიძლება დაგვეჯერებინა მათი გულწრფელობა, ეხლა კი, ნურას უკაცრავად, თუ პირდაპირ ვიტყვით: ტიმეო დანაოს... ვერ ვენდობით დანაელებს, თუნდაც ძღვენის მომტანთ...

კადეტების სულისკვეთება ხომ ყველასათვის ცხადია. ისინი, ამირადოვის სიტყვით, რევოლიუციონერები არ არიან, არა სცდილობენ **დღეს** დასცენ საქართველო, რადგან იმედი აქვთ, ურევოლიუციოდ იგი **ხვალ** თვით დაეცემა და ისევ რუსეთს დაუბრუნდება. რასაკვირველია კადეტები ამას ხელს შეუწყობენ და აქტიურად გამოვლენ ხვალ. დღეს კი ისინი ნიადაგს ამზადებენ. საკვირველია განა, ასეთი ხალხი რომ თავის თავს უპირდაპირებს საქართველოს და მის პარლამენტს? ჩვენმა ფრაქციამ საბჭოში, ვიმეორებთ, ყველაფერი ეს ნათლად გაითვალისწინა და როდესაც სოციალ-დემოკრატების რეზოლიუციას მხარი დაუჭირა—მხედველობაში ჰქონდა არა საგანგებო რაზმი, არამედ საქართველოს დემოკრატია და მისი ორგანოები, რომელსაც წინა სხდომაზე საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი. 10—7. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში და კამბრესთან სიმშვიდეა.

ბოინეს ლაშქარი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით ბრძოლა, სექტემბრის შუა რიცხვებში რომ დაიწყო, გრძელდება. აქ მტერმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, თუმცა დიდი ძალები მოიშველია. გუშინ მტერმა იერიშები მოიტანა კატელეს ჩრდილოეთით და ლესენის ორივე მხრით, მაგრამ ამაოდ. სომის არხთან მტერმა მცირეოდენი ტერიტორია დაიპყრო: იგი გავრეკეთ კონტრიერიშით რეუკურამდე.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. მტერი დაგვედევნა ენთან და სიუიპთან პონტ-ა-ვენსა და ბაზანკურს შუა ბრძოლა ძლიერდება პონტ-ა-ვენთან, ბერი-ო-ბაკთან, რეიმს-ნეუშატელის გზატკეცილის ორივე მხრით და ბაზანკურთან. მტერი ყველგან მოვიგერიეთ. მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა არხზე და სენ-ეტიენის დასავლეთით. მისი იერიშები აქაც დამარცხდა. შამპანში 10 დღის ბრძოლის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა.

ჰალვიცის ლაშქარი. არგცნებსა და მაასს შუა ამერიკელები იერიშებს განაგრძობენ. ჰინდენბურის ქვეითა პოლკმა (№ 147) გარეკა მტერი, რომელიც ფრონტის გარღვევას ჰლამობდა. ამერიკელები კვლავ საგრძნობლად დაზარალდნენ.

ბერლინი. 10—7. საღამოს ცნობა. სკარპის ჩრდილოეთით ადგილობრივი ბრძოლაა. სენ-კანტენის ჩრდილოეთით და არგონებსა და მაასს შუა მტერმა იერიშები დაიწყო. შამპანში სიწყნარეა.

ბალკანეთის ფრონტი.

ვენა. 10—7. ალბანიაში, სკუმბთან ბრძოლაა. ძველი სერბიის სამხრეთ მოსაზღვრე რაიონში არავითარი ბრძოლა არაა.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. 10—7. მტერმა გუშინაც ვერ გადალახა ბოირატ-ცაილების საერთო ხაზი.

გერმანიის მთავრობაში

გერმანულ პრესის ცნობა. 10—6. ოქტომბრის 2-ს ბერლინში გაიმართა სამეფო საბჭოს სხდომა გერმანიის იმპერატორის თავმჯდომარეობით. მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა კანცლერმა გრაფ ჰერტლინგმა, ფელდმარშალმა ფონ ჰინდენბურგმა, ბადენის პრინცმა მაქსმა ვიცე-კანცლერმა ფონ-პაიერმა, მინისტრთა საბჭოს ვიცე პრეზიდენტმა, რამდენიმე სტატს სეკრეტარმა და იმპერატორის სამოქალაქო კაბინეტის უფროსმა.

პრინც მაქსის მოლაპარაკებას პარტიათა ლიდერებთან შედეგად მოჰყვა პრინცის თანხმობა. იგი თანახმაა მიიღოს კანცლერის თანამდებობა. საიმპერიო მთავრობაში შევლენ მხოლოდ მთავარი პარტიების წარმომადგენელნი. პრინც მაქსმა თავის პროგრამა წარადგინა: როგორც „ფოსიშე ცაიტუნგიდან" სჩანს პროგრამის ზოგიერთ თავის მუხლში მთავარი პარტიების მოთხოვნას ალემატება. მოლაპარაკებამ სრულს შეთანხმებამდე მიიყვანა. პრესა მიესალმა რეორგანიზაციას, რომელმაც უნდა გადასჭრას შინაური კრიზისი და ახალი გზით წაიყვანოს გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების განვითარება.

ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს სტატს სეკრეტრის მომავალი თანაშემწე, რეიჰსტაგის წევრი ლიუდვიგ ჰააზი წერილს უძღვნის „ბერლინერ ტაგებლატში" პრინც მაქსს, რომელსაც კანცლერის პოსტი ჩაიბარა და აქით ძველ წესწყობილებასთან კავშირი გასწყვიტა. იმის შესახებ, თითქოს პრინცი შეუფერებელი იყოს კანცლერის თანამდებობისათვის, თუ მთავრობა დემოკრატიული იქნება, ჰააზი სწერს: ჩვენ არ გვსურს პარტიული პროგრამის წამოყენება და მისი გატარება ცხოვრებაში—ამას ვამბობთ, როგორც მეგობრების, ისე მტრების საყურადღებოდ: ეხლა ჩვენ პარტიულ პროგრამაზე მაღლა უნდა ვიდგეთ. ეხლა უნდა შევქმნათ ახალი გერმანია და კაცობრიობაც შევარიგოთ. სხვა და სხვა აზრების და პარტიების ადამიანები უნდა შეერთდნენ ამ საქმისათვის და სწორედ ამიტომაც სასარგებლოა, თუ კანცლერი პარტიული არ იქნება. შემდეგ ჰააზი ამბობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მიღებული იყო კაცობრიობისა და ადამიანობის ძაგება, პრინცი მაქსი ეწინააღმდეგებოდა ამ კაცთ-მოძულეობას და არ ჰკარგავდა რწმენას კაცობრიობის იხსნისას, ერთა შეთანხმების იდეა მისთვის მხოლოდ ტაქტიკური მანიოვრი კი არ არის; ეს იდეა მის სულთან და გულთან მეტად ახლოა. მას არ ესაჭიროება „ჭკვიანური სიტყვები" ფლიდობის დასაფარავად; მას შეუძლია მტკიცე პოლიტიკა აწარმოოს კაცობრიობის ინტერესების დასაცავად. ამ იდეისთვის მას არასდროს არ უღალატნია. მისი სურვილია ზავს თანაგრძნობით შეხვდეს საზღვარ-გარეთ ის ელემენტები, რომელთაც კიდევ შერჩენიათ სწორად გაგების უნარი. მის სიტყვებს კიდევ წინად ძლიერი გამოძახილით ხვდებოდნენ. ჩვენ მაინც არ დაგვიკარგავს იმედი, რომ ზავი ჩამოვარდება.

—

შვეციის პრესა მიესალმება გერმანიაში ახალი წესების დამყარებას. „დაგეს ნიჰეტერი" სწერს: პრინცი მაქსი დიდი ხანია ცნობილია თანამედროვე აზრების მატარებელ ადამიანად, ლიბერალური იდეებისა და განსაზღვრულ ეთიური შეხედულების მქონედ. „სოციალ-დემოკრატები" ამბობს: სადაც არ უნდა გამოსულიყო პრინცი პოლიტიკურ ასპარეზზე, ის ყველგან ძველი წეს წყობილების წინააღმდეგი იყო.

შვეიცარიის პრესა გულდასმით იხილავს დემოკრატიულ წყობილების შემოღებას გერმანიაში. „ბერნერ-ტაგებლატი" სწერს ყველა ის, ვისაც გერმანიის დაღუპვა არ ჰსურს და ვინც იმ აზრისაა, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხის ხმა უნდა გამოისმოდეს, დიდის სიხარულით მიესალმება გერმანიის ახალ წყობილებას".

ტრანს-ოკეანეს პრეს-ბიუროს ცნობა. 10—6. პრესა მიესალმება ახალ კანცლერს, როგორც მთავრობის თავს, ხალხის ნდობით აღჭურვილს. „ნორდ-დეიტშე-ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს: როგორადაც საგულისხმო არ უნდა იყვეს პარლამენტის წევრების შესვლა მთავრობაში, ხალხმაც და პარტიებმაც არ უნდა დაივიწყონ, რომ არ შეიძლება იმაზე შეჩერება, რაც გაკეთებულა; ეს მხოლოდ გზაა უმაღლეს მიზნისაკენ და საჭიროა ყველა ფიზიკური და გონებრივი ძალის ამოძრავება".

დანიის გაზეთი „ალგემინი" სწერს: „ახალ კანცლერს შემთხვევა ეძლევა თავისი პასუხსაგები დანიშნულება გაამრავლოს. მხოლოდ პირველ ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არის ღრმა მორალისა და საუკეთესო მსოფლიო-მხედველობის მქონე, ამ სიტყვის ლიბერალური მნიშვნელობით".

„ნიუ-კურანტი" სწერს: „უკანასკნელი ცნობები ცხადჰყოფს, რომ მოკავშირეთა ყვითელი პრესის განმარტებები გერმანიის რევოლიუციის შესახებ, აბსურდია ხალხის გავლენა იზრდება: იმპერატორმაც ანგარიში გაუწია ამ ფაქტს და აღნიშნა ეს თავის გამოსათხოვარ წერილში გრაფ ჰერტლინგს რომ გაუგზავნა; ხოლო ახალი კონცლერის სახით ის გარანტიას იძლევა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოპოვებული ტერიტორია დაცული იქნება ძლიერი ხელით.

ბადენის პრინცი მაქსი თანამედროვე ეპოქის ადამიანია: საბედნიეროდ ის ჩვეულია საქმე ჰქონდეს მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან. გერმანიაში წარმოთქმული სიტყვები მოწმობს იმას, რომ მას ღრმად ესმის, თუ რას მოითხოვს მომენტი. პრინც მაქსი ის ადამიანია, რომელიც განახორციელებს უმაღლეს ერთობას მართველობაში".

„ალგემაინე დაგესბლატი" სწერს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიას სათავეში ჩაუდგა ისეთი მთავრობა, რომელიც შესძლებს გერმანელი ხალხის სახელით ლაპარაკს და მოქმედებას. თუ ვილსონი და ლლოიდ-ჯორჯი ისევ ძველ რწმენას იცავენ, რომელიც არა ერთხელ გამოუთქვამსთ, მათ არ შეუძლიათ მხარი არ დაუჭირონ გერმანიის მთავრობის ნაბიჯებს".

—

საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარი ფონ-ჰინტცე გადადგა. მის ადგილას დანიშნეს კოლონიების მინისტრი დ-რ სოლფი, ხოლფი კოლონიების მინისტრადაც რჩება.

ბულგარეთის ამბები

გერმანული პრესის ცნობა. 10—6. რუმინიის პრესა ბულგარეთის ამბებს ეხება. ბუქარესტში მთავრობის გაზეთში წერილია მოთავსებული „მალინოვის საქმის" სათაურით, სადაც სწერია: „ომით დაღლილობა ვერ გაამართლებს მალინოვის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ის გარემოება, რომ გერმანიისა და ავსტრიის ჯარი დიდის სისწრაფით შევიდა სოფიაში, ჰმოწმობს, რომ ვენისა და ბერლინის პოლიტიკურ წრეებში დიდიხანია ეჭვობდნენ, რომ ბულგარეთში საეჭვო ამბები ხზადდება. ჩვენ ვიცით, რომ გენერალი სავოვი და შეკონი, ბულგარეთის ლაშქრის ყოფილი და აწინდელი გენერლები, დროებითი ზავის წინააღმდეგნი იყვნენ და განაცხადეს, რომ ცენტრ. მთავრობებთან ერთად იბრძოლებენ. ბულგარეთმა ეხლა უნდა გაიხსენოს თქმულება, რომ ორ სკამს შუა ჯდომა ცუდია. ბულგარელებმა ეხლა იციან, რომ მათი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზად უნდათ გადააქციონ ჩვენი საქმე არ არის მათი პოლიტიკის დაწუნება ან გამართლება. ისინი იმ ლოგიკზე დაწვებიან, რომელსაც დაიგებენ".

უცხოეთი

დროებით მთავრობა სიზრანში.

„იზვესტია" გადმოგვცემს, რომ სიზრანში დროებითი მთავრობა შესდგა, რომელშიაც შედიან ავქსენტიევი, ვოლსკი, რაგოვსკი, ჩაიკოვსკი და გენერალი ბოლდირევი. 3 წევრი სარევ. პარტიას ეკუთვნის, ერთი რუსეთის აღდგენის ლიგას, ერთიც—სახალხო სოციალისტია.

მოსკოვი 10—7. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

ნიკოლაევის დივიზია სამარას 12 ვერსტით არის დაშორებული. სწარმოებს ბრძოლა. უკან დახევისას ჩეხელებმა ალექსანდრეს ხიდი ააფეთქეს.

ფრანგების ცნობა: ფრანგების ჯარი იმარჯვებს მან ჰინდენბურგის ხაზი გადალახა.

კიევი სახ. სათათბიროს და სახ. საბჭოს ყოფილ წევრები თავს იყრიან.

ოდესა 10—5 ოდესის საზარგო სადგურზე პიროქსილინით ააფეთქეს მთავარი ლიანდაგი.

კიევი 10—5. სურსათის მინისტრს გერბელს მექრთამეობა ბრალდება. იგი დამნაშავედ იცნეს; მექრთამეობა დაუმტკიცეს გერბელი თეთრ-გვარდიელთა ბანაკში გადადის.

სამარა, 10—5. მთავრობის ბრძანებით სიმბირსკის საოლქო საბჭო გარეკეს. ჯარმა პროტესტი განაცხადა.

უფა. 10—5. ჩამოვიდა სავინკოვი, მას მტრულად შეხვდნენ. სექტემბრის 27-ს ჩეხო-სლოვაკებმა სიმბირსკის ხიდი ააფეთქეს გენერალი ხორვატი ადგილობრივ მთავრობაში შევიდა.

ფლანდრიაში ბელგიელ-ინგლისელები ენერგიულად აწარმოებენ შეტევას; რამდენიმე ათასი კაცი დაატყვევეს.

არგონებში ინგლისელები დიდი სისწრაფით აწარმოებენ შეტევას გერმანელები იხევენ.

სერბიაში ინგლისელები ნიშას უახლოვდებიან.

ოსმალთა ბრძოლის ველზე ინგლისელებმა დამასკი აიღეს. მთელი სირია ინგლისელების ხელშია. სტამბოლში დიდი შიშიანობაა; ოსმალოებმა აუწყეს რომ თანახმა არიან კავკასია დასცალონ.

მოსკოვი: გუშინ მოსკოვის მიდამოებში მუშათა რაზმებისა და წითელ რაზმის ალლუმი.

გუშინ დიდის ზეიმით გახსნეს რადიშჩევის ძეგლი.

სახალხო განათლების სახელმწიფო კომისიის დადგენილებით მოსპობილია სამეცნიერო ხარისხები.

პეტროგრადი. შესდგა ბულგარელ კომუნისტთა ჯგუფი სტუდენტები თავისუფალი სამხედრო ბეგრიდან.

✦ **ვენა** 10—5. ფერდინანდმა უარი სთქვა მეფობაზე თავისი შვილის ბორისის სასარგებლოდ, რომელიც უკვე შეუდგა მართვა-გამგეობას.

გერმანელთა კოლონიამ სოფია დასტოვა.

ახალი ამბავი

✦ **კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კრებამ** დაადგინა: რადგან ახლად დანიშნული ბუხჰალტერი ვ. კაქინსკი ძველი მთავრობის მსახურია და სრულიად გამოუსადეგარი მომუშავე—ამიტომ იგი უეჭველად დათხოვნილ იქმნას.

✦ **ამხ. დავ. გვილავა გვთხოვს** გამოვაცხადოთ, რომ სოც.-რევოლიუციონერთა გაზეთ „შრომაში" მისი წინანდელი ფსევდონიმით (შუბი) ხელმოწერილი წერილები მას არ ეკუთვნის.

✦ **ამხ. ექ. ქუთათელაძისაგან** პარტიულ ფონდის გასაძლიერებლად დავ დევდარიანის ხელით მივიღეთ 50 მან.

✦ **სომხეთის მთავრობის კრიზისი.** ერევნიდან ცნობები მოვიდა, რომ სენიორენ კონვენტის უკანასკნელ სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ქ. ქაჯაზნუნმა განაცხადა, შექმნილ პირობებში ჩემთვის შეუძლებელია მთავრობაში დარჩენაო, და წინადადება მისცა კოალიციური მთავრობა შეადგინონ. წინადადება მიიღეს დაშნაკელებმა, სოც.-დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ; სოც.-რევოლიუციონერებმა უარი სთქვეს მთავრობაში შესვლაზე.

✦ **ქურდობა.** ამ ორი დღის წინად გაჰქურდეს ალექსანდრეს ქუჩაზე იოსებ გველესიანის ბინა. ქურდს სხვათა შორის გაუტანია ქ. ფოცხვერაშვილის ტანისამოსი და სხვა და სხვა ნივთები, რომლებიც ამ ბინაზე იყო შენახული.

✦ **დაკარგული ჯარის კაცი.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ჯარისკაცი ნიკოლოზ ცუცქირიძე მსახურებდა ომის დროს კავკასიის ფრონტზე ქართველ მსროლელთა პოლკში პირველ როტაში, და 1917 წლის მარტიდან მისმა მშობლებმა მის შესახებ არაფერი იციან, თუ ვისმე რაიმე ცნობა მოეპოვება ზემო აღნიშნულის ჯარის კაცის შესახებ, მშობლები სთხოვენ მიაწოდონ მათ ეს ცნობა შემდეგი მისამართით: შორაპნის მაზრა, ჩხიროულის სოფლის საზოგადოების სამმართველო, სპირიდონ სვიმონის ძე ცუცქირიძეს.

✦ **სომხეთა სამხედრო ტყვეების დახმარება.** ოსმალეთიდან დაბრუნებულ სომეხ სამხედრო ტყვეთა და დაჭრილ მხედართა დახმარების შესახებ თათბირი შესდგა, დიპლომატიური წარმომადგენელის ჯამალიანის მონაწილეობით. დაადგინეს ეს საკითხი ეროვნ. საბჭოს უნდა გადასცენ, რათა მან აღმოუჩინოს დახმარება ტყვეებს აგრეთვე ლტოლვილთა განყოფილება უნდა დაეხმაროს მათ.

✦ **დიდი ჩხრეკა.** ოქტომბრის 7-ს, ღამის 3 საათიდან ავლაბარში ციციშვილის აღმართიდან დაწყებული მთელ უბანში დიდი ჩხრეკა სწარმოებდა. სჩხრეკდნენ როგორც ბინებს, ისე კიდევ გამვლელთ. ჩხრეკის მიზანი იყო იარაღის ართმევა. ჩხრეკას აწარმოებდა მილიცია და საგანგებო რაზმი.

✦ **ხოლერა** ოქტომბრის 7-ს, ქალაქის საავადმყოფოში არც ერთი ხოლერიანი არ მოუყვანიათ წინად მოყვანილთაგან მორჩა 4 გარდაიცვალა 1. ამ დღეს საავადმყოფოში ითვლებოდა 49 ხოლერიანი და 11 საეჭვო.

✦ **ლტოლვილნი.** სომეხთა ერ. ლტოლვილთა განყოფილება ქალაქის ცენტრში აწყობს საექიმო პუნქტსა, რისთვისაც 18,600 მ. გადასდეს. დაივლიან ქალაქს და ავადმყოფ ლტოლვილებს მოსძებნიან საექიმო პუნქტში გასაგზავნად.

სომეხთა საზოგადოება „მულუ"-მ ლტოლვილთა კომიტეტისაგან სესხად მიიღო 50,000 მანეთი.

✦ **შრომის სამინისტროში.** შრომის მინისტრმა ცირკულიარული განმარტება დაუგზავნა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების და სოხუმის ოლქის შრომის კომისრებს, რომ ამა წლის აგვისტოს 2-ს კანონის ძალით საქარხნო დაწესებულებებს პირდაპირი თვალყურის დევნა დაკისრებული აქვს შრომის კომისრებს, რომელნიც მოვალენი არიან თავის მოვალეობის ასრულების დროს უნდა იხელმძღვანელონ სამრეწველო შრომის წესდების შესაფერ მუხლებით და საქარხნო ინსპექციის და აგრეთვე შრომის კომისრების შესახებ დებულებებით.

✦ **დ ნიშვნა.** ცენტრალურ შემთანხმებელ კამერაში მთავრობის მე-3 წარმომადგენლად დაინიშნა ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის წევრი ი. გ. ქარცივაძე.

✦ **ბრძანება.** საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა უფროსმა ნ. კანდელაკმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

თანახმად საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა პირველ სადელეგატო ყრილობის დადგენილებისა და გზათა მიმოსვლის მინისტრის დადგენილებისა, ადგილობრივ კომიტეტებში თანამდებობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ თავმჯდომარენი და მდივნები. წინადადებას ვაძლევ კომიტეტის იმ წევრებს, რომელნიც თანამდებობას არ ასრულებენ დაუბრუნდნენ სამსახურს. წარმოდგენილ უნდა იქნეს სია მათი, ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს.

✦ **ქურდობა მომარაგების კომიტეტში.** მომარაგების კომიტეტის ცენტრალურ საწყობის გამგემ ყურადღება მიაქცია, რომ ხსენებულ საწყობის საფთიაქო განყოფილებიდან მედიკამენტებს იპარავენ, ხოლო ოქტომბრის 3-ს 2 კილოგრამი იოდისებური კალი და სხვა მედიკამენტი მოიპარეს 50,000 მანეთისა. სისხლის სამართლის მილიციამ ქურდები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ საფთიაქო განყოფილების მოსამსახურენი: ბ. ოჰანეზოვი, ა. პლოტნიკოვი, ნ. პლოტნიკოვი, ხ. კობიაშვილი, ვ. გონჩაროვი, შ. და ქ. გოგუა და გ. ტომარაძე. ყველას ბინები გასჩხრიკეს და საფთიაქო განყოფილებიდან მოპარული მედიკამენტები აღმოაჩინეს.

✦ **ქურდობა.** ოქტომბრის 7-ს ღამით პუშკინის ქუჩაზე ჩანჩალაშვილის საგალანტერეიო მაღაზიიდან გაიტანეს ბოროტმოქმედებმა 20,000 მანეთის საქონელი.

— იმ ღამესვე კახეთის ქუჩაზე № 10 ქ. ახვერდოვის ბინიდან ახვერდოვის ვაჟმა ლევანმა 20,000 მანეთის საქონელი მოიპარა და მიიმალა.

✦ **ბაქოში.** ბაქოდან ჩამოსულთა სიტყვით ოსმალოებს ასკერანის ხეობა (ყარაიაზშია) აუღიათ. ოსმალოებმა დელეგაცია გაუგზავნეს მცხოვრებლებს, რომ დანებდნენ.

✦ **ბრძოლა ხაჩმაზსა და დერბენტს** შუა ოსმალოებსა და ბიჩერახოვის რაზმს შორის ბრძოლა სწარმოებს.

✦ **ლექცია.** ხუთშაბათს, ოქტომბრის 10-ს საღამოს 7 საათზე ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში შესდგება ლექცია ბ-ნ თ ვესტერჰაგენისა შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომიანობით შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები. ლექცია წაკითხულ იქნება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ალექსანდრეს ბაღში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

სასწავლებლებში.

✦ **ჯავახეთის ახალქალაქის ქართულ გიმნაზიის** დირექტორი ივ. როსტომაშვილი დანიშნულია თელავის წმ. ნინოს გიმნაზიის გამგედ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

სოც. ფედ სარევ. პარტიის ტფილისის კომიტეტის არჩევნები მოხდება კვირას, დილის 10-ს. პარტიულ კლუბში.

—

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ ოქტომბრის 20-ს, ტფილისში დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ტფილისის გუბერნიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობის საგანი: 1) მოხსენება ტფ. საგუბერნიო კომიტეტისა და 2) საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები. ორგანიზაციებს ევალებათ ამ დროისთვის უეჭველად თითო წარმომადგენელი გამოგზავნონ.

საზოგადო კრება. დღეს, ოთხშაბათს ოქტომბრის 9-ს, პარტიულ მთავარ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. საქართველოს პარლამენტის წევრი არჩილ ჯაჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს დღევანდელ შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. შემდეგ კამათი.

ჟურნალისტის დღიური

12.

არჩევნები.

გორის მაზრის სოფ. კავთისხევიდან მოსული კორესპონდენციიდან დაინახავდი, რომ საერობო არჩევნების დროს განუახლებიათ ძველი მეთოდები არჩევნებისა უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატების ადგილობრივი აგენტები აშინებენ ამომრჩევლებს, თუ ხმა პირველ ნომერს არ მიეცით, დაჯარიმებული იქნებითო. ასეთივე საჩივრები გავიგონე პირადად მე სოფ. ტყვიავიდან. გარდა ამისა, თუ სოფელ კავთისხევში მომხდარი ამბავი გამართლდა და აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ყუთში ბარათები მეტი იყო ვიდრე სიაში აღნიშნული რიცხვი, მაშინ დასკვნა ერთი უნდა გამოვიტანოთ. იმას ვინც საარჩევნო ყუთთან იდგა, თითონ ჩაუწყვია განუსაზღვრული რიცხვი ბარათებისა ყუთში. დამეთანხმებით, რომ ეს არჩევნები კი არა, პროფანაციაა არჩევნებისა და ფალსიფიკაცია ხალხის ნებისყოფისა.

სოფ. კავთისხევს მე ძალიან კარგად ვიცნობ. ვიცი პარტიული ძალთა განწყობილება. სოციალ-დემოკრატების სია იქ აუცილებლად მეტს ხმას მიიღებდა, ვიდრე სხვა რომელიმე პარტიისა. მით უფრო გაუგებარი და დასაძრახისია ასეთი საქციელი. საერთო პოლიტიკური აღზრდა ხალხისა, პატივისცემის განმტკიცება ხალხის ფართო მასაში რწმენისა არჩევნებისადმი მოითხოვს, რომ არავითარ ძალადობასა და მახინაციებს ადგილი არა ჰქონდეს არჩევნების დროს.

საერთოდ არჩევნების დროს მიღებულია, რომ დაინტერესებული პარტიის წარმომადგენელი ესე იგი წარმომადგენელი იმ პარტიისა რომლის სიაც გამოფენილია, დაესწროს ხოლმე, როგორც მოწმე, არჩევნებს. თუ ეს პირობა ყველგან წესიერად არის დაცული, თუ პარტიის წარმომადგენელნი საარჩევნო კომისიასთან იმყოფებიან, მაშინ უკანონობასა და ძალადობასაც ნაკლები ადგილი ექნება. საუბედუროდ ამ მშვენიერს წესს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენში და საარჩევნო კომისიები არამც თუ არ იწვევენ პარტიის წარმომადგენლებს, როდესაც ეს უკანასკნელნი თითონ მიდიან, მაშინაც კი არ უშვებენ და საშუალებას არ აძლევენ დარწმუნდნენ, რომ საარჩევნო ყუთთან რაიმე უკანონობა არ მოჰხდა

ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდით ამ ამ ფაქტზე იმიტომ, რომ მოახლოვებულია დრო დამფუძნებელი კრების არჩევისა წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ეს არჩევნები დიდი პარტიული ბრძოლის ასპარეზად გადაიქცევა სწორედ ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არჩევნების კანონიერებას და განსაკუთრებით კი იმას, რომ ადგილობრივი აგენტები და თვით მცხოვრებნიც შეეჩვივნენ არჩევნების კანონიერად მოხდენას.

კერძოდ სოფ. კავთისხევის მაგალითის შესახებ ჩვენ გამოვსთქვამთ სურვილს, გამოძიებულ იქმნას საქმე და დამნაშავეს, თუ ასეთი აღმოჩნდა, პასუხი მოეთხოვოს. ფალსიფიკაცია არჩევნებისა ბოროტგამზრახველობა ხმების მიცემის დროს ჩვენ ყოველნაირ დანაშაულობაზე დიდს დანაშაულობად მიგვაჩნია. მახინაციები საარჩევნო ყუთთან ნამდვილი გაძარცვაა ხალხის სულის კვეთებისა. ხალხის აზრებისა და ვინც ამას სჩადის, ის უდიდესად ბოროტმოქმედებს ხალხის წინაშე.

შინაური.

ქალაქის საბჭო

ოქტომბრის 7 სხდომა

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამას წინად მიიღო რეზოლიუცია ესერებისა: მილიციამ დახმარება არ გაუწიოს საგანგებო რაზმსო. ამის გამო ქალაქის გამგეობა გადადგა, რადგან საბჭომ წინა საკითხის გადაწყვეტის დროს დამაკმაყოფილებლად არ სცნო მისი განმარტებანი. საბჭოს რეზოლიუცია ერთნაირი დემონ-

სტრაცია იყო საქართველოს რესპუბლიკის და მისი პარლამენტის წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნოდა საგანგებო რაზმის დაარსების კანონი. შეიქმნა კრიზისი.

ოქტომბრის 7 სხდომაზე ძალთა მობილიზაცია იყო მომხდარი. სხვა კრებებს 40 ხმოსნამდე ესწრებოდა. ეხლა ასამდე იყო იყვნენ მინისტრებიც: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვ. თავმჯდომარეობდა იაგჯიანი.

ე. მახვილაძისამ შეიტანა წინადადება. წინანდელი გადაწყვეტილებს საბჭომ გადასინჯოს, რადგან იგი უკანონოა.

ამას მხარს უჭერდენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. აგრეთვე ქართველი ესერებიც, მათ შორის ჩემოდანოვიც.

ამხ ი. ბარათაშვილმა სთქვა: საბჭოს გადაწყვეტილება უნდა გადისინჯოს, ხოლო გამგეობის გადადგომა, როგორც მომხდარი ფაქტი, უნდა მივიღოთ. საბჭო თავის გადაწყვეტილებით მიდის უმაღლეს ორგანოს—საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წინააღმდეგ, რადგან მილიციას უბრძანებს არ აასრულოს საერთო სახელმწიფოებრივი კანონი. ეს არაპირდაპირი გალაშქრებაა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დღეს სოციალისტურია და რევოლიუციონურიც. ქალაქის საბჭო ჰქმნის კონფლიქტს მთავრობისა და უმაღლეს კანონს შუა, ვერავითარ გამგეობას ვერ დავაკისრებთ კანონის დარღვევას და მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებასაო.

გაიმართა ცხარე და ხანგრძლივი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა ფრაქციათა წარმომადგენლებმა და საღამოს ცხრის ნახევარზე დაწყებული სხდომა გათავდა ღამის სამის ნახევარზე. დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა ნ. რამიშვილმა, რომელმაც შეუბრალებლად ამხილა „სოციალისტ-რევოლიუციონერები“ თუმანოვი და ხუდადოვი და კადეტები, რომელნიც კრავებად სახავენ თავს და ნამდვილად კი იბრძვიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შემდეგ 48 ხმით 27 წინააღმდეგ მიიღეს გადადგომა გამგეობისა. გადასწყვიტეს გადასინჯვა საბჭოს წინანდელ გადაწყვეტილებისა. სოციალ-დემოკრატებისა, სოციალის ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატების ხმებით მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: საგანგებო რაზმი, რომელიც იბრძვის სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლიუციასთან—საჭიროა. ამიტომ ქალაქის საბჭო ადასტურებს, რომ მილიციამ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ რაზმს.

ახალი გამგეობის და ქალაქის მოურავის არჩევნები შემდეგ სხდომაზე მოხდება. მანამდე კი ეთხოვა ძველ გამგეობას განაგრძოს თავისი მუშაობა.

მთელი დარბაზი და ქანდარა გაჭედილი იყო მსმენელებით, რომელნიც მთავრობის განმარტებას ტაშით და ოვაციებით ჰხვდებოდნენ.

ნედლი მასალა

მე, თვით განგებამ, ხელში მომცა მასალა სველი,
ნედლი მასალა, სულ ახალი, ხელუხლებელი,
სხვა ნიადაგზე, მზის ნამტვერში ამონაკვეთი
და ზეციური ბალსამოსით ნაპკურ-ნაწვეთი.
და უსიცოცხლოს კიდევ შემწევს იმდენი ძალა:
რომ დამწვარ სულში ჩავაქსოვო ნედლი მასალა;
და სისხლის ზვირთით ისე შევკრა და შევამზადო,
რომ შევქმნა ლექსი, ლექსი წმინდა, ლექსი უზადო.
მე შიგ ჩავაქსოვ დაჭრილ მკერდის კვნესა-წვალებას,
მაჯის ცხელ ცემას, სნეულ სახის გაფერთმკრთალებას,
დამსხვრეულ იმედს, ყალბ სიყვარულს, მუნჯ ხვაშიადსა,
დაგროვილ ვნების ქარტეხილის ქროლვას დიადსა...

მე ხელთ მიჭირავს მშვენიერი ნედლი მასალა,
თუ ამ წყეულმა, დაჭრილ გულმა ცოტა მაცალა...

მარიჯან.

თეატრი და ცხოვრება

დრამატიულ საზოგადოებაში. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ წელს ტფილისში მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა და მოიწადინა ქართულ თეატრის აღორძინებისათვის საფუძველი ჩაეყარა. ამ მიზნით მან, ზოგიერთი კერძო პირების მატერიალურის დახმარებით, გაზაფხულიდან მოიწვია რეჟისორად გ. ჯაბადარი და მიანდო მას ახალი ძალების მოკრება და დრამატიულ ხელოვნების სტუდიის მოწყობა. სტუდიამ დიდძალი ახალგაზრდა ინტელიგენტობა მიიზიდა და უკვე ზაფხულიდან გაჩაღდა მუშაობა. ახალგაზრდა ინტელიგენტებს მიემატა ახალგაზრდა მსახიობები ქართული თეატრისა და ამგვარად შესდგა ერთი მთლიანი და მწყობრი დასი, რომელიც გულმხურვალედ მუშაობს და იმედია, მალე ნაყოფსაც გვიჩვენებს თავის მუშაობისას.

საჭიროა მხოლოდ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს ამ მეტად სიმპატიურ საქმეს როგორც მატერიალურად, აგრეთვე განსაკუთრებით დღეების დათმობით სახაზინო თეატრში და ამით ხელი შეუწყოს ქართულ თეატრის აღორძინებას და განახლებას.

—

სახალხო თეატრი. დღეს, საღამოს, სახ. სახლ. არს. ქმრთ. წარმ. მართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლაქია“ და მეოთხე მოქმედება ,,დავა''-დან, დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

დრამა ,,ტარტო''

ძალიან გვიან გაგვიღო თავისი კარები საარტისტო საზოგადოებამ; მაგრამ ჩვენ უნდა მივესალმოთ „ტარტოს“, რომ მან სეზონის გახსნისათვის ამოირჩია უკვდავი კომედია გოგოლისა „რევიზორი“. მე მინდოდა წარმოდგენის შესახებ ცოტა რამ მეთქვა:

ბ-ნმა მიხაილოვსკიმ ძალიან მხატვრულად შეასრულა გოროდნიჩის როლი. მან დაგვიხატა ნამდვილი გოროდნიჩი. ბ-მა მიხაილოვსკიმ განსაკუთრებით მშვენივრად ჩაატარა მე-5 მოქმედება. მისი ქცევა, მიმიკა და თამაშობა აღტაცებას იწვევდა ხალხში. ბევრი მსახიობი მინახავს რუსეთში გოროდნიჩის როლში, მაგრამ მაგისთანა თამაშობას იშვიათად შევხვედრივარ.

ანა ანდრეევნა—ქ-ნი კოშევისა და მარია ანტონოვნა—ქ-ნი ლისიცინისა კარგები იყვნენ. ხლესტაკოვი ბ-ნი დიმოვი თავის ადგილზე იყო და ხალხსაც მოეწონა. ბ-მა დიმოვმა უნდა იცოდეს, რომ ის არის დიდ სცენაზე და არა პატარაზე. მან გაძლიერებულ ჟესტიკულაციებს თავი უნდა დაანებოს. ნიროვმა ზემლიანიკას როლი ვერ შეასრულა ჯეროვნად. ქ-ნი ნიროვი მრავალ ადგილას აშარჟებდა როლს. კარგი იყო ოსიპი—ბ-ნი პერსიონი. მან მხატვრულად და მშვენივრად შეასრულა თავისი როლი. დარწმუნებული ვარ ბ-ნი პერსიონი შემდეგში თავს ჰპოვებს. ასევე კარგი იყო პოჩმეისტერი ბ-ნი ტუგანოვი. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ეს არის უბედურობა, მსახიობებმა ცუდად იცოდნენ როლები (სუფლიორის ხმა ძალიან გვაწუხებდა) ამას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ცუდად წაუვათ საქმე. ბ-სა რეჟისორს ახალი არაფერი არ შეუტანია კომედიის დადგმაში; ძალიან ღარიბია დეკორაციები

თეატრის ადმინისტრაციამ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ფარდის ახდის შემდეგ, თეატრის დარბაზში არ შეუშვან ხალხი. საერთოდ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხზე. თეატრი სავსე იყო.

ლადო.

ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების ყრილობის გამო

კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.
შ. რუსთაველი.

ამა წლის ენკენისთვის 10 შედგა ქ. ტფილისში ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულების ყრილობა. კრებამ გასტანა ერთ კვირას და დამთავრდა ენკენისთვის 17-ს.

არც ერთი პრინციპიალური კითხვა არ იხილებოდა ამ კრებაზედ კოოპერაციის რეალურ თვალსაზრისით და არ წყდებოდა სალი ლოღიკური დასკვნით იყო შემდგარი ჯგუფი ბ. ე. დარჩიას მეთაურობით, რომელსაც აშკარად ემჩნეოდა მოქმედებაში ტენდენციოზობა; პრინციპიალური საკითხების გადაჭრას უდგებოდნენ ანტიკოოპერატიულს ფარგლებში.

სხვათა შორის კრების მსჯელობის და გადაწყვეტის საგანს შეადგენდა საკითხი ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის რეორგანიზაცია, ე. ი. იყო წამოყენებული საკითხი: დარჩეს ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი მოქმედების ძველ ფარგლებში, თუ გადაკეთდეს ის საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირად. ამ საკითხის გადასაწყვეტად კერძოდ ნამდვილ მცოდნე კოოპერატორს და საზოგადოდ სალი აზრის და ლოღიკის მქონე ადამიანს ერთი აზრი უნდა ჰქონდეს. უკვე ყველასათვის ცნობილი და მომხდარი ფაქტია, რომ ნიკოლოზის დროის მონარქიულად მთლიანი ამიერკავკასია დღეს სამ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ერთი მათგანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამის შემდეგ არა ნორმალურია ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ძველს ფარგლებში დატოვება და მოქმედება. არსებობს საქართველოს რესპუბლიკა თვისი კანონებით და განსაზღვრული ორიენტაციით, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი, მაგრამ, დახეთ დარჩიას და კამპანიის აზრთა სიკოტრეს! მისი ჯგუფი წარმოუდგა კრებას ამ საგანზე ვითომც საბუთებით დაუმტკიცა კრებას ბუნებრივი და მისაღებია არსებობდეს საქართველოს რესპუბლიკაში დღეს და სამუდამოდ ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი, რომლის წევრები თანასწორ უფლებიანი იქნებიან საქართველოს სახელმწიფოს თვალსაზრისით. კერძოდ კრების გარეშე, შევეკითხე ბ. დარჩიას როგორ ფიქრობს კავშირი, რანაირად მოაწესრიგებს საქონლის ექსპორტის საქმეს ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებში მის წევრების სასარგებლოდ-თქო. მიპასუხა: „ამისათვის მთავრობა შეიმუშავებს განსაკუთრებულ რეგლამენტებს და მიხედვით იმისა ვაწარმოებთ ექსპორტის საქმესო“. ბ. დარჩიას და კამპანიას ავიწყდებათ, როგორც სხვა სახელმწიფოში ისე ჩვენსაში არსებობს უმაღლესი ორგანო. სასურსათო სამინისტრო, და მხოლოდ მის კომპეტენციას შეადგენს სახელმწიფოდან საზღვარზედ საქონლის გაზიდვა. როგორ ფიქრობს ბ. დარჩია, კავშირმა ყოველთვის უნდა ითხოვოს ხსენებულ ორგანოსთან, რომ მან მისცეს კავშირს ნებართვა გაუგზავნოს წევრებს საქონელი სომხეთს და ადერბეიჯანში.

მიმდინარე საკითხებად და არა წესრიგში, იყო წამოყენებული კრების მიერ საკითხი: რომელ ენაზე სწარმოებდეს კავშირში საქმეები. ამ კითხვაზედაც მხოლოდ ერთი აზრი და პასუხი შეიძლება იყოს რაკი დატოვეს ამიერკავკასიის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი ძველი თვის კომპეტენციით და მოქმედების იმ ფარგლებში, როგორც აქამდე იყო, ენაც და წესიც საქმის წარმოებისა, ბუნებრივია, ძველი უნდა დარჩეს, ე. ი. ისევ რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს საქმე, მხოლოდ მაგარი ისაა, რომ ხალხი პირუთვნელი და მკაცრი მსაჯულია იქ სადაც ხედავს უტყუარ სინამდვილეს.

თუ პირველი საკითხი—ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი თვის ძველის ფორმით, თუ საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი ახალის ფორმით—ხალხისათვის გაუგებარი თეორია იყო და მხარი დაუჭირეს დარჩიას მეორე საკითხი —წარმოება იყოს ქართულს, თუ რუსულ ენაზე—მათთვის პრაქტიკული და გასაგები დარჩა. პოლიტიკურ მიმართულებათა მიუხედავად, კრებამ, გარდა ცნობილი ჯგუფისა, ერთხმად და დაჟინებით მოითხოვა: „არ გვეყო აქამდის სიმუნჯე, ჩვენთვის გაუგებარ ენაზე აწარმოებდით საქმეს, ამ კითხვის გადასაწყვეტად კიდევ ფიქრი და ლაპარაკია საჭირო! ეხლავე დაუყონებლივ ქართულ ენაზე დაიწყეთ საქმის წარმოება კავშირში. მხოლოდ მომხმარებელ საზოგადოებებთან აწარმოვეთ მიწერ-მოწერა იმ ენაზე, რომელიც ესმის მათ ხელმძღვანელს, სანამ უკანასკნელნი ქართულს შეისწავლიდნენ, თუ შესაძლებელი იქნება ეს მათთვის“.

ამის შემდეგ გასაქანი აღარ დარჩა ჯგუფს და იძულებული გახდა ქედი მოეხარა კრების დაჟინებით მოთხოვნილების წინაშე. დარჩია სავსებით აფუჩეჩებდა ამ საკითხს და ამბობდა: „როგორც დავინახავთ საჭიროდ, ისე და იმ ენაზე ვაწარმოებთო“. ეხლა იძულებით იცვალა პოზიცია და საჭიროდ აღიარა ქართულის შემოღება კავშირის საქმის წარმოებაში; მხოლოდ აქაც თვისი ღრმა ფილოსოფიური განმარტება დასძინა: ვაღიარებთ რა მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში საქმეების წარმოების ნაციონალიზაციას და ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ აგრეთის განხორციელება უეცრად არ შეიძლება გთხოვთ კავშირში საქმის წარმოება დარჩეს 1919 წ. იანვრამდის ძველის წესით, მხოლოდ იანვრის 1-დან შემოღებული იქნება ქართულად წარმოებაო.

დასასრულ მოხდა არჩევნები, რამაც აგრეთვე მწვავე ხასიათი მიიღო. ფრაქციათა შორის კანდიდატებზე შეთანხმება არ მოხერხდა, ჯგუფმა, ესდეკების სახელით, ზევიდან ბატონყმურად გვიბძანა; გამგეობაში გაძლევთ თქვენ ერთ წევრს, აგრეთვე სარევიზიო და ზედამხედველ კომიტეტში თითოს, ისინიც თვითონ დაასახელეს, ჩვენი დასახელებული არ მიიღეს; გაიტანეს კიდევაც თავისი; ბუნებრივად ასეც უნდა მომხდარიყო, ძალა-უფლება მათ ხელშია.

ვაცნობებ რა ზემო აღნიშნულ გარემოებას, მოუწოდებ საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებებს ანგარიში გაუწიონ მას, როგორც მომხდარ ფაქტს, დაუყონებლივ გამოგზავნონ ქ. ტფილისში განცხადებები კავშირის ზედამხედველი კომიტეტის სახელობაზე, რომლით, თანახმად კავშირის წესდებისა, მოითხოვონ მოწვევა მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულების არაჩვეულებრივი ყრილობა კავშირისა რეორგანიზაციისათვის.

გაძევებული.

სამეგრელოში

სექტემბრის 21,

სამურზაყანოდან ცუდი ამბები მოდის ზუგდიდში. იქაური აჯანყებულნი გრძნობენ თურმე აღსასრულის მოახლოვებას და არ იციან რა ჩაიდინონ. ისინი ხალხს თავს ეცემიან, ავიწროვებენ, სძარცვავენ და აპატიმრებენ. თუ წინად თავდაჭერილად იქცეოდნენ და ხშირად სცდილობდნენ, ხალხის მეგობრად გამოსულიყვნენ, ახლა ისინი ძველის სამოსელიდან გამოძვრნენ და ხალხს თავისი ნამდვილი სახე უჩვენეს. მათ ერთხანად თითქოს ფრთები შეეკვეცათ. ეს იყო მაშინ, როდესაც სამურზაყანოზე გაიარა სოხუმისკენ მიმავალმა გვარდიამ, მგრამ შემდეგ, როცა ნახეს, რომ გვარდია სამურზაყანოში აღარ გაჩერდა, რაღაც იმედი მიეცათ და დღესაც ყველას არწმუნებენ, ეს გვარდია თითონ არის გასაჭირში და სოხუმისკენ მიდის დასამალავადაო, რადგანაც ტფილისი ინგლისელებმა აიღეს და ქართველი ჯარი იქიდან გამოდევნილ იქმნაო. ასეთსავე ხმებს ავრცელებენ სამეგრელოშიც, მაგრამ ამას აქ გასავალი აღარა აქვს.

ზუგდიდის მაზრის სოფლებიდან კი კარგი ამბები მოდის:

ახალგაზრდათა მობილიზაცია კარგად მიდის. თვით სოფელი ატანს ძალას სასალდათოებს, რომ სამხედრო უფროსთან დროზე გამოცხადდნენ

დღეს მოდის ცნობა, რომ სოფელ კორცხელში ხალხს მოუკლავს ცნობილი ყაჩაღი შამუგია, რომელმაც სხვათა შორის, არჩილ საყვარელიძის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა. იმდენად მობეზრებული ჰქონებია ხალხისთვის მას თავი, რომ მისი ახლობელი ნათესავებიც კი იძახიან: მადლობა ღმერთსაო.

დღეს ზუგდიდში მოჰყავთ ს. ხიბულის მცხოვრები ისაკ კიტია, რომელიც აჯანყებულებს შეიარაღებულ დახმარებას აძლევდა. იგი სასჯელის შემსუბუქებას თხოულობს თარჯიმანის პირით (მეგრულის მეტი არა იცის რა). მას გარნიზონის უფროსი იმედს აძლევს, რომ იგი, როგორც თავის ნებით გამოცხადებული, სიკვდილით არ იქნება დასჯილი.

სოფელ კორცხელიდან კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა მოდის. წუხელის იქაურ მილიციონერებს შეუპყრიათ სამეგრელოსი და სამურზაყანოს შეიარაღებულ ბრბოების ერთი ხელმძღვანელთაგანი ალექსანდრე (სანდრო) თოლორაია, რომელიც სხვათა შორის, ზუგდიდზე თავდამცემ ბრბოებსაც მეთაურობდა. იგი ზუგდიდის ციხეშია ამ ჟამად დამწყვდეული.

დღეს ზუგდიდში შემთხვევით თვალი მოჰკრეს ჩვენმა პარტიზანებმა ცნობილ ძველს ბოქაულს კალანდიას, რომელიც განსაკუთრებით გურიაში „მოღვაწეობდა“. მისმა ასეთმა თავისუფლად ყოფნამ ისე ააღელვა ჩვენი გურული პარტიზანები, აგრეთვე სხვა ხალხი, რომ გარნიზონის უფროსი იძულებული იყო, იგი დაეპატიმრებინა და ციხეში გაეგზავნა. რადგანაც დაჟინებითი ხმებია იმის შესახებ, რომ კალანდიას ქუთაისის სასამართლოს გამოეპარაო, ამიტომ იგი ქუთაისს იგზავნება.

სექტემბრის 22.

გაზეთების საქმე ველარ გაგვიგია. ხან მთელი 5—6 დღე არავითარი გაზეთი არ მოდის. შემდეგ უცებ როგორღაც გაჩნდება სულ ახალი გაზეთი, რომელსაც დრო-გამოშვებით მოსდევს ძველი გაზეთები. რა ხდება ქვეყანაზე, აღარ ვიცით. რაიმე ამბავს ან სულ ვერ ვიგებთ, ან ისე გვიან, რომ მნიშვნელობა აღარა აქვს.

აგერ ოთხი დღეა ტელეგრაფიც გაფუჭებულია და მოწყვეტილნი ვართ ტფილისსა და ქუთაისს. სწორედ ესლა გვაკლდა!

საღამოს შტაბში მოდის სამურზაყანოდან ჯარისკაცი ალექსანდრე ლოლაძე, რომელიც ჭყადუას რაზმში მსახურებდა (მე-3 ქართული პოლკი). იგი ამ ოთხის თვის წინად რვა კაცთან ერთად ტყვედ ჩავარდნია ბოლშევიკებს რეპოშვილეთში. ეს რვა კაცი პორუჩიკის ფავლენიშვილის უფროსობით წასულა ამ სოფელში იარაღის მისაღებად, რომელსაც ბოლშევიკები დაჰპირებიან. როცა მისულან სოფელში, უცებ მათ 80 იარაღიანი კაცი შემორტყმია. აღთქმულ იარაღის ჩაბარების ნაცვლად, ბრბოს ძიგუას მეთაურობით სროლა აუტეხნია, პორუჩიკი ფავლენიშვილი მოუკლავს, ხოლო დანარჩენი რვა კაცი ტყვედ წაუყვანია. ამ ოთხის თვის განმავლობაში ტყვეებს ბევრი გაჭირვება გამოუვლიათ, ხშირად მათ დახვრეტასაც ემუქრებოდნენ. ძიგუას გარდა აჯანყებულებს მეთაურობას უწევს თურმე მანჩა შერვაშიძეც. ეს ტყვეები ამ რამდენიმე დღის წინად გაუნთავისუფლებიათ, რადგანაც იქით ყოფნის დროს გვარდიას შეუთვლია, თუ არ გაანთავისუფლებთ ტყვეებს, სოფელს გადავწვავთო.

სამურზაყანოში ჩვენი პარტიზანები ამ დღეებში შევლენ. ერთი ნაწილი პარტიზანებისა დღეს უკვე გავიდა ზუგდიდიდან იგი ჯერ დიდინეცსა და ზუგდიდის მაზრის რამდენიმე სოფელში შეივლის და შემდეგ სამხედრო წესით სამურზაყანოსკენ გაემგზავრება.

სექტემბრის 23.

ცნობა მოდის, რომ პარტიზანები უკვე შესულან დიდინეცში და ხალხისთვის მოთხოვნილებანი წარუდგენიათ. ხალხი რაღაც ზანტად იქცევა და არც „ჰოს“ ამბობს, არც „არა“-ს.

დღეს ზუგდიდში ჩამოდის მაზრის კომისარის თანაშემწედ ახლად დანიშნული ახვლედიანი, ძველი ბოქაული, რომელიც გამოგზავნილია ქუთაისის საგუბერნიო კომისრის მიერ. ახვლედიანს განსაკუთრებით ყაჩაღების დაჭერა აქვს დაკისრებული.

ამავე დღეს ზუგდიდის შტაბში სამურზაყანოს ბრბოების ბელადი პავლე ძიგუა კაცებს გზავნის იმის გასაგებად, რა მოელის მას, თუ თავის ნებით გამოცხადდება.

შტაბში მოდის ამავ დღეს ერთი მღვდელი, გვარად ჭანტურია, მამა ყაჩაღის ვასო ჭანტურიასი, რომელი დღესაც დათარეშობს ზუგდიდის მაზრაში. გარნიზონის უფროსი მას წინადადებას აძლევს, დაუყოვნებლივ წარმოადგინოს შვილი, რომელიც მასთან იმალება. მღვდელი სცდილობს შვილი გაამართლოს, მაგრამ თვითვე ამჟღავნებს მის მავნე მოქმედებას. ისიც ირკვევა, რომ ამ ყაჩალს მამასთან აქვს ბინა.

ამ მღვდელს ულტიმატუმს უდგენენ და მასაც 24 საათის განმავლობაში მოჰყავს შვილი, რომელიც ციხეში იგზავნება.

საინტერესოა ზოგიერთი თხოვნა, რომელიც შტაბში შემოდის სხვა და სხვა პირებისაგან.

დღეს შტაბში მოდის ერთი მეღვინე, რომელიც ფარულ ვაჭრობისათვის დააჯარიმეს და თხოულობს, გამოუცდელი ვარ, სულ რაღაც ათი წელიწადია ვვაჭრობ და ჯარიმა მაპატიეთო.

მეორე კაცი თხოულობს, სოფელ ცაიშში ჩემმა ქალმა ქოლგა დაჰკარგა, თქვენს ჯარს ხომ არ უპოვნიაო მას ეუბნებიან, არ გვიპოვნია და თუ ვიპოვით გამოგიგზავნითო

აგერ ერთი მეღვინის ცოლიც მოდის ქმრის მაგივრად თხოულობს ჯარიმის პატიებას. ამ ქალს თან მოჰყავს ექვსი ბავშვი სიღარიბის დასამტკიცებლად.

— შეიძლება ეგ ბავშვები მაგისიც არ არის და დაქირავებულნი არიანო.—ოხუნჯობს ერთი მეგრელი.

ჩამორთმეულ ცხენებისა და იარაღის პატრონთა თხოვნებს ხომ თვლა არა

აქვს. თითო ცხენს ხშირად სამი და ოთხი კაცი ჩემულობს. მოჰყავთ მოწმეები და წერილობით მოწმობებსაც ადგენენ. საერთოდ აქეთ ბევრია ისეთი პირი, რომელსაც წინადვე დამზადებული აქვს ყოველგვარი მოწმობა ყოველ შემთხვევისათვის.

თვითონ მეგრელებში ასე ოხუნჯობენ:

— ჩვენში, ბატონო, ბევრია ისეთი კაცი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს უბეში უდევს მოწმობები: სიღარიბისა და სიმდიდრისა (ქონებრივი ცენზი), ავადმყოფობისა და ჯანსაღობისა და სხვა.

სექტემბრის 24.

დილით ჩვენი პოლკის მეორე ნაწილიც გადის ზუგდიდიდან. ახლა ჩვენი პარტიზანული პოლკი ორ ნაწილად არის გაყოფილი. მათ ნაბრძანები აქვთ პოლკის უფროსისაგან, რომ ზოგიერთი ადგილები ცალ-ცალკე გაიარონ და დამოუკიდებლად იმოქმედონ, ხოლო ზოგიერთ მნიშვნელოვანს პუნქტებში ისევ შეერთდნენ.

წინასწარ ცნობით ზუგდიდის მაზრის სოფელ დიდნეცში საიდანაც ჩვენი პოლკი სამურზაყანოსკენ უნდა გამგზავრებულიყო, საკმარისი იყო მხოლოდ ჯარის ერთი ნაწილი, ვინაიდან ამ სოფელში უკვე იყო როტმისტრის დენისოვის რაზმი ამ რამდენიმე დღის წინად. პარტიზანულ პოლკის პირველ ნაწილის შემოსვლამ გამოარკვია, რომ ამ სოფელში ბევრი არა გაკეთებულა რა. აქ დენისოვის რაზმი ყოფილა, ერთი ხუთი სახლი გადაუწვავს, და რამოდენიმე ბერდანის თოფი წამოუღია და ამით გაუთავებია აქ საქმე. აქაური ბელადი ვინმე მიხა მამფორია, რომელიც ხან ერთს პარტიის წევრად აცნობდა ხალხს თავს და ხან მეორისას, კვლავ დათარეშობს თავისი შვიდი ამხანაგით და ხალხს მოსვენებას არ აძლევს. ჩვენი პოლკის პირველ ნაწილის შესვლამდე სოფელს ყრილობა გაუმართავს და თათბირი ჰქონებია იმის შესახებ, თუ როგორ მოიშორონ თავიდან ეს მამფორია. ხალხს უცებ მიჰრია მამფორია თავის ამხანაგებით და მოუთხოვნია, მომეცით იმ სახლის ფასი, რომელიც დენისოვის რაზმმა გადამიწვაო ხალხს უთქვამს, ოღონდ მოგვასვენე და მთავრობას დანებდი და ორჯელ იმაზე უკეთეს სახლს აგიშენებთო. მამფორია ამაზე არ დათანხმებულა და ხალხისათვის 18,000 მან. მოუთხოვნია ვინ იცის რითი გათავდებოდა საქმე, რომ ამ დროს დიდინეცში არ მოსულიყო ცნობა ჩვენი ჯარის მიახლოვების შესახებ. მამფორია თავის ამხანაგებით გაქცეულა. მათ პარტიზანი—მზვერავნი გამოეკიდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რადგანაც ამ სოფელში საქმე რამდენადმე გართულდა, ამიტომ პოლკის მეორე ნაწილის მიმართულება შეიცვალა და სექტემბრის 24-ს ამ სოფლისკენ გაემგზავრა პირველ ნაწილთან შესაერთებლად. მეორე ნაწილის მისვლამდე სოფელში შედის პოლკის უფროსი ი. გედევანიშვილი, ხალხს აცნობს საქართველოს ახლანდელს მდგომარეობას, უხსნის დღევანდელ დემოკრატიულ მთავრობის საქმიანობას და ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვას და შემდეგ უდგენს მოთხოვნილებებს.

— ჩვენ კეთილის აზრით მოვედით აქა,—ათავებს სიტყვას გენ. გედევანიშვილი, ჩვენ გვინდა წესიერება და მშვიდობიანობა დავამყაროთ აქა და ავლაგმოთ ხალხის ამრევნი. ჩვენ ცალის ხელით მოგვაქვს მშვიდობიანობა, მეორე ხელით—მახვილი. მშვიდობიანობა გვინდა იმათთვის, ვინც ამის მწყურველნი არიან და სურთ პატიოსანი შრომა მათი დაცულ იქმნას ყაჩაღთა ხელებისაგან. მახვილი მოვიტანეთ იმათთვის, რომელნიც პატიოსანს შრომას გაურბიან და თავიანთ ყაჩაღურ მოქმედებით ძირს უთხრიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ქართველ მშრომელ ხალხს. მოქალაქენო! ახლა რაც გსურთ, ის ამოირჩიეთ: მშვიდობიანობა, ან მახვილი.

რასაკვირველია ხალხმა აქაც არ იცის ქართული; ამიტომ საგუბერნიო კომისარის რწმუნებული კოწია ნორაკიძე დამსწრეთ მეგრულად უთარგმნის ნათქვამს და ხალხს აცნობს გენერალ გედევანიშვილს როგორც სოციალისტს, კარგს რევოლიუციონერს და მშრომელი ხალხისთვის თავდადებულ კაცს. თავის მხრითაც კ. ნორაკიძე ხალხს უხსნის მომენტის სიმწვავეს და წინადადებას აძლევს, აასრულონ მთავრობის მოთხოვნილებანი.

ამის შემდეგ ლაპარაკობს მეგრულად ძველი რევოლიუციონერი და ნაკატორღალი მკვიდრი ამ სოფლისა ალექსი თოლუა, რომლის სიტყვასაც იგივე კ. ნორაკიძე თარგმნის.

იგი ამბობს:

— ჯერ კიდევ 1905 წელს აფრიალა ჩვენმა სოფელმა სარევოლიუციო დროშა და სხვა სასოფლო საზოგადოებანიც მიიმხრო. ეს იყო ის დროშა, რომელიც პირველი აფრიალდა მთელს სამეგრელოში. მას უკან ჩვენ იგივე რევოლიუციონერები დავრჩით, მაგრამ ამ ბოლო ხანს აქ მოხდა ის, რის მოწმეც მთელი რუსეთი გახდა. ნასალდათარებმა და სხვებმა აქაც შემოიტანეს ეგრედ წოდებული ბოლშევიზმი, რომელსაც ხალხი აჰყვა. ახლა გავიგეთ, რომ რუსეთში ეს ბოლშევიზმი დამარცხდა, ჩვენში კი განმტკიცდა ახალი დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა. უმრავლესობა კარგად ვგრძნობთ, რომ სწორედ ამ მთავრობას უნდა დავუჭიროთ მხარი და ვემსახუროთ დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამიტომ მზად ვართ, ავასრულოთ მთავრობის მოთხოვნილებანი.

ამის შემდეგ ირკვევა, რომ ამ საზოგადოებას ჩაუბარებელი აქვს მთავრობისთვის მრავალი იარაღი. მხოლოდ ბერდანებიდან, რომელიც თვით მთავრობამ დაურიგა ხალხს, არა სჩანს 25 ბერდანა. არა სჩანს აგრეთვე ნასალდათარების თოფები და ის 60 ვინტოვკა, რომელიც აქაურებმა ანაკლიიდან გამოიტაცეს.

ირკვევა ისიც, რომ ნაწილი იარაღისა ბოლშევიკურ ბრბოებს გაუტაცნიათ, ნაწილი კი ხალხშია დამალული. ხალხი პირობას სდებს, აღმოაჩინოს გადამალული იარაღი და გასცეს აჯანყების მეთაურები. მართლაც ასახელებს ამ მეთაურებს: მიხა მამფორიას და 6 მისს ამხანაგს. მათ დასაჭერად ხალხი ვადას თხოულობს. როგორც ეტყობა ჯარისა და მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვები საკმარისი არ არის, რადგანაც ხალხში რაღაც ერთნაირი რყევაა, უფრო იმით გამოწვეული, რომ მთავრობის ძალა არ სჯერა. ზოგი იმასაც კი ამბობს, თქვენ რომ მოთხოვნილებანი ავისრულოთ, იმათ რაღა ვუთხრათ, თქვენს შემდეგ რომ მოვლენო. ამ დროს სოფელში შემოდის კიდეც პარტიზანულ პოლკის მეორე ნაწილი ზარბაზნებით და ხალხი სწორედ ამ დროს იწყებს სერიოზულს თათბირს მოთხოვნილებათა შესრულების შესახებ. ჯარი საზოგადოებიდან თავისთან ცხრა კაცს იტოვებს მძევლებად.

ხალხს ერთხელ კიდევ აფრთხილებენ:

— აასრულეთ მოთხოვნილებანი. დაიჯერეთ ჩვენი ძმური სიტყვები, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნები ალაპარაკდებიან. ნუ შეგვიყვანთ ძმის სისხლში და თქვენს თავსაც ძალით ნუ დაატეხთ უბედურებასაო.

ჯიუტი სოფელი რბილდება.

სექტემბრის 25.

ამ დღეს სენაკში მიხდება წასვლა სადაც გენერალი ი. გედევანიშვილი მიემგზავრება სამხედრო მინისტრის შესახვედრად.

სენაკში ახალი სამაზრო კომისარი გვხვდება დათიკო ცხაკაია, რომელიც დაუნიშნავთ ნაცვლად გიორგი მაღნარაძისა. აღსანიშნავია ერთი გარემოება. როდესაც სექტემბრის პირველ რიცხვებში სენაკს ჩავედით, უკვე ყველგან ისმოდა უკმაყოფილება ამ კომისარის უმოქმედობისა და ადმინისტრატორის ნიჭის სისუსტის გამო. მისი მადლიერი არც საგუბერნიო კომისარი იყო და მაშინვე გადაწყვეტილი იყო მისი გადაყენება, რაიც თვით მაღნარაძემაც იცოდა. ეს იცოდა მაღნარაძემ და ალბად უფრო გულგრილად ეკიდებოდა საქმეს, რადგანაც გრძნობდა, რომ ამ ადგილზე მცირე ხანს-ღა უნდა დარჩენილიყო. საგუბერნიო მთავრობას ისე გაუჭირდა შესაფერ კაცის მოძებნა, რომ ეს მაღნარაძე სრული ერთი თვე დასტოვა იმ ადგილზე, რომელიც, როგორც გაირკვა, სრულიად არ შეეფერებოდა მას. ცხადია, ამის გამო რამდენად შეფერხდებოდა საზოგადო საქმეები მაზრაში.

ამ ჟამად სენაკსა და მის მაზრაში მშვიდობიანობაა და საზოგადოებრივი ცხოვრება კალაპოტშია ჩამდგარი.

წინა დღით იქ ერთი ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა, რაიც განსაკუთრებით აკვირვებს აქ მდგარ გერმანელ ჯარისკაცებს. ვიღაც უცნობნი ქალის გატაცების განზრახვით ერთს სახლს დასცემიან და სროლა შეხვედრიათ. ქალი ვერ გაუტაცნიათ. ერთი თავდამცემთაგანი გუგუნავა უცვნიათ. ეს გუგუნავა ამ ერთი თვის წინადაც დაეცა ერთს სახლს და ქალის მოტაცება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. იგი ამისთვის დაპატიმრებული იყო და სექტემბრის 24-ს თავდებით გაანთავისუფლეს, მაგრამ ამავ ღამით მეორე სახლს დაეცა.

სექტემბრის 26.

სენაკში ახალგაზრდათა მობილიზაცია წესიერად მიმდინარეობს.

ქუჩები ძველებურად უსუფთაოა და საგონებელში აგდებს კაცს. კიდევ კარგი, რომ ამისთვის ყურადღება მიუქცევია ახლად დანიშნულ კომისარს და განკარგულება გაუცია ქალაქის მოსაყვანად სანიტარულ მდგომარეობაში.

განსაკუთრებულს სიამოვნებას იწვევს **სენაკის მაზრის საერობო ყრილობა**, რომელიც სექტემბრის 15-ს დაიწყო და უკვე გამოიჩინა საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ეს ყრილობა პირველი საერობო ყრილობაა მთელს საქართველოში დღემდე ყრილობა ბევრს საპირბოროტო საკითხს შეხებია და სამეგრელოს ცხოვრება მრავალმხრივ გაუშუქებია. მუშაობა ისევ სწარმოებს. ყრილობას, სხვათა შორის, მოუსწრია განხილვა სასკოლო ბიუჯეტის, რაიც წელიწადში ოთხ მილიონ ნახევარ მანეთს უდრის და საგზაოსი, რომელიც მილიონ ნახევარს უდრის

ამ ჟამად აღარას ვიტყვი და ვიმედოვნებ, რომ სამურზაყანოში სამხედრო მოქმედების დათავრების შემდეგ შეძლება მომეცემა გამოვიარო სენაკში, სადაც დაწვრილებით გავეცნობი ყრილობის საქმიანობას.

საღამოს 7 საათზე სამხედრო მინისტრი მოდის სენაკში, საიდანაც ფოთს მიემგზავრება. მისი მოგზაურობის მიზანია ჯარებისა და სამხედრო დაწესებულებათა დათვალიერება.

ღამით ზუგდიდს ვბრუნდებით.

რ. ხ—ლი.

ღია წერილი ამხ. ლადო გუგუშვილს

ის ჩემი დაუბეჭდავი ლექსთა რვეული, რომელიც თქვენ შეცდომით გაგყვათ ზუგდიდიდან ქ. ტფილისში, უმორჩილესად გთხოვთ დაუყონებლივ გარდასცეთ გაზ. „სახალხო საქმის" რედაქციას.

პატ. ტ. წალენჯიხელი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დამიბეჭდოთ განმარტება იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო ჩემ შესახებ „სახალხო საქმის" მე № 346-ში ბ. ნავარძელის ფსევდონიმით.

ენკენისთვის 25-ს დილით ვყიდულობდი შეშას სოფლიდან, ჩ. მოსულ გლეხებისგან. ორ ურემში ვაძლევდი ოცი თუმანი მიფასებდნენ ოცდა შვიდ თუმანს, მეურმეს მოსდევდა უკან სხვა გლეხი დადებული შეშით ეს ვაჭრობა ხდებოდა 1 რაიონის შტაბის წინ. ვერ მოურიგდი პირველს; წავიდნენ მეურმეები, და გაჩერდნენ ცოტა მოშორებით. მე კი ოთხ ამხანაგთან დავიწყეთ სულ სხვა საქმეზე საუბარი ამ დროს პირველმა მეურმემ კიდევ დამიძახა: ვაძლევდი თუ არა 27 თუმანს, მე უარი უთხარი, მაშინ მეორემ დამიძახა: მე მოგცემ 20 თუმნადო. მაშინ მეორეს მივმართე მე კაი კაცო ან შენ და ან კამბეჩებს რაზე აცდენ. დაუდებდი როგორც რიგია, ოცი ეღირებოდა ოცად გაყიდდი, ორმოცი ეღირებოდა ორმოც თუმნად გაყიდდიმეთქი. იმან იქიდან დოინჯ შემოყრილი დამიძახა მე ოჯახ. . . . . . . მეურტალი სიტყვით მომართა მივედი და შევეკითხე, თუ რად გამლანძღა. იმან მეორედ შემომაგინა დედა და მეშაზე მიმიშვირა ხელი! ეს არის ცოტაოა აქ კი ვეღარ მოვითმინე გახულიგანებული მეურმის სიტყვები და სილა გავარტყი. იქვე შტაბში შევიყვანე რომ გამომეკითხა, რისთვის გამლანძღა უმიზეზოდ იქ ამხანაგებმა გამაშვებინეს და გაუშვეს თავის გზაზე.

რა თქმა უნდა, სილა რომ არ გამერტყა, უფრო კარგი იქნებოდა, მაგრამ არის ისეთი მომენტი ცხოვრებაში, ანგარიშს ვეღარ უწევს კაცი. აი, მთელი ამბავი. რაც შეეხება ბ. ნავარძელს, რომელმაც იქ ჩამოიარა და ბევრი სთქვა ჩემ სოციალისტობისა, პარტიისა და შტაბსაც გადასწვდა, უნდა მოვახსენო შემდეგი: არ უნდა ეკადრებინა ტყუილების დაწერა, ვითომ მეურმემ ბატონოთი არ მომიხსენა და თოფიანი გვარდიელები მომეშველნენ.

ვითომ მეურმეს მუჯლუგუნებით მივათრევდი, სახრით თავპირი დავამტვრიე მეურმე ვითომ ამბობდა: არ ვიცოდი თუ გვარდიის უფროსი ყოფილხარო. ნაძალადევის მცხოვრებთაც არ იციან, თუ მე შტაბის წევრი ვარ და აბა, სოფლიდან ჩამოსულს საიდან ეცოდინებოდა ესა?

უნდა რცხვენოდეს ბ. ნავარძელს, როცა ამისთანა ტყუილებს აწვდის რედაქციას. ბ. ნავარძელი და ნაძალადევის მცხოვრებლებიც მიცნობენ, რომ მე არც მოკრივე ვარ, არც მოჩხუბარი. მაგრამ ალბად სხვა მიზეზი ალაპარაკებს ავტორს.

იაგ. ტორიკაშვილი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი მ. ზ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რიზიზის ქ. № 19. 992

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. მ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ბლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1840

ექიმი ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და [illegible] ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-კირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—28. 5087

ექიმი დიასამიძე განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა, ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვირის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი ი. ი. ხერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შეახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34 301

ექიმი ი. ძ. აბაშელი შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ბლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აველტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. აველტიხიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთ:
ს. გ. აველტიხიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.
ა. ნ. იხაკიანი: 6—7½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მოსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდ[illegible] კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხბ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2019

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 130, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა